თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3017413

ნომერი: AR1465850

თარიღი : 21.12.2016

გაცემის თარიღი : 10.01.2017

გაცნობის თარიღი : 10.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი 3, II მკ/რ , N39-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბი კობერიძე პ/ნ 35001008630
- თბილისი. პიკასოს7 #15

ორგანიზაცია:

- შპს "რიკონი+" კოდი: 200269075

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 21 დეკემბრის №AR1465850 განაცხადით მომართა ზურაბ კობერიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ვარკეთილი 3, IIმ/რ, N39-ის მიმდებარედ, შპს "რიკონი +"- ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.39.009.089), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობის ნაცვლად 238.4 კვ.მ-ისა 241.4 კვ.მ.-ის დაფიქსირება.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საზაფხულო ფართობის მაჩვენებელი შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მაჩვენებლის შეცვლა, ასევე გამოიწვევს 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც, ცვლილების შედეგად, შეადგენს 3697.7 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:3697.7, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:241.4. სამსახურის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2869922 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.